INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

პრეს-რელიზი

14 სექტემბერი, 2016 - თბილისი, საქართველო

IDFI-ის გამოცდილება და კვლევები აჩვენებს, რომ საერთო სასამართლოები ხშირად უარს აცხადებენ, გასცენ კონკრეტულ საქმეებზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები, უმეტესწილად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის არგუმენტზე მითითებით. რიგ შემთხვევებში, საერთო სასამართლოები უგულებელყოფენ საჯარო ინტერესსა და სხვა ლეგიტიმურ მიზნებს და უპირატესობას ანიჭებენ პერსონალურ მონაცემთა დაცვას. ამგვარი მიდგომა ამცირებს სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობას და წარმოშობს პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და სხვა ლეგიტიმურ ინტერესებს შორის ჯეროვანი ბალანსის დადგენის საჭიროებას.

არსებული პრაქტიკის გაუმჯობესებისა და სასამართლო გადაწყვეტილებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, IDFI-მ 2016 წლის ივლისიდან დაიწყო პროექტის „სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა საქართველოში“ განხორციელება. IDFI პროექტს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მხარდაჭერით ახორციელებს. აღნიშნული პროგრამა დაფინანსებულია შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ.

IDFI პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად დეტალურად შეისწავლის სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის არსებულ მდგომარეობას საქართველოს საერთო სასამართლოებში, პრობლემების გამომწვევ სამართლებრივ და პრაქტიკულ მხარეებს.

UNITED STATES AGENCY INTERNATIONAL DEVELOPMENT USAID

USAID ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

პრობლემების იდენტიფიცირების შემდგომ დაგეგმილია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა, არსებული პრობლემების ანალიზი გამოხატვის თავისუფლების, ინფორმაციის მიღების უფლების, მართლმსაჯულების გამჭვირვალობის დამდგენი კონსტიტუციური ნორმა-პრინციპების კონტექსტში.

პრობლემების ანალიზის შემდგომ, IDFI, დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციების ჩართულობით, მოამზადებს საკანონმდებლო ცვლილებების პროექტს. აგრეთვე, გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და ვებ-პლატფორმებს შესწავლის შედეგად, IDFI წარმოადგენს რეკომენდაციებს სასამართლოს გადაწყვეტილებების პროაქტიულ გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

მომზადებული რეკომენდაციისა და საკანონმდებლო ცვლილებების ადვოკატირების პარალელურად, სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის კონსტიტუციური სტანდარტების დადგენის მიზნით IDFI გეგმავს სტრატეგიული სამართალწარმოების დაწყებას საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოებში.

პროექტი შვიდი თვე გაგრძელდება და დასრულდება 2017 წლის 31 იანვარს.

დეტალურად პროექტის და დაგეგმილი აქტივობების შესახებ იხილეთ IDFI-ის ვებ-გვერდი: www.idfi.ge - მიმდინარე პროექტები: http://bit.ly/2be09K7

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

მერი მახარაშვილი

კომუნიკაციების & ორგანიზაციული განვითარების გრანტის მენეჯერი

მის: *ალ. გრიბოედოვის 3, თბილისი 0108, საქართველო.*

ტელ: *+ 995 32 1 92 15 14;* ***მობ:*** *+995 599 50 01 37*

ელ-ფოსტა: m.makharashvili@idfi.ge; info@idfi.ge

USAID ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)